

საქართველოს კანონი

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების და ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N41, 8.10.1997, გვ. 16) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ბ.დ.“ ქვეპუნქტი:

„ბ.ბ.დ) ლეიტენანტის სამხედრო წოდების მისანიჭებელი კურსი და აქვს სრული ზოგადი, საშუალო პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება, რომლის გავლის საკითხები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.“

2. ამოღებულ იქნეს 46-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი